საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/97
13/01/2023

97-21-2-202301131422

**შპს „ბიო პლასტი“-ს**
**მის:** თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვედა სიმონეთი, 31-ე ქუჩა №16
**ელ. ფოსტა:** ltd.elshouse@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №6663 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ქ. ქობულეთში, მესხიძის ქ. №13ა-ში, მეორადი პოლიეთილენის პარკების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს ინფორმაცია კომპანიის მიერ აღდგენის მიზნით მისაღები ნარჩენების კოდის, დასახელებისა და რაოდენობის შესახებ;
- სკრინინგის განცხადებაში არ არის აღწერილი და განხილული პოლიეთილენის გრანულების წარმოების ტექნოლოგიური პროცესი, ასევე დოკუმენტში მოცემული უნდა იყოს დასამუშავებლად მისაღები ნარჩენის და დამუშავების შედეგად მიღებული ნედლეულის დროებითი დასაწყობების ობიექტისა და პირობების შესახებ ინფორმაცია;
- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში (თავი 7) არასწორად არის გამოყენებული მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ხვედრითი კოეფიციენტების მნიშვნელობა, შესაბამისად არასწორია წარმოდგენილი მავნე ნივთიერებათა გაფრქვევები, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, იჯარით აღებულ 300 $м^2$ ფართობის მქონე ტერიტორიაზე. შესაბამისად, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს, აღნიშნული საწარმოო შენობის GPS კოორდინატები, სიტუაციურ სქემაზე დატანით;
- დოკუმენტის თანახმად, უახლოესი საცხოვრებელი სახლი საწარმოს შენობიდან დაშორებულია 15 მეტრით. სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებით უახლოეს მოსახლესთან შეთანხმების დამადასტურებელი დოკუმენტი;

- სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს შპს „ბიო პლასტი“-ზე საწარმოს გადაცემის თარიღთან დაკავშირებული ინფორმაცია (2021 წ/ 2022 წ);
- საქართველოს მთავრობის 2018 წლის 14 სექტემბრის N472 „პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების რეგულირების წესისა და დამტკიცების შესახებ“ დადგენილებით რეგულირდება პლასტიკისა და ბიოდეგრადირებადი პარკების ან/და შეფუთვისათვის განკუთვნილი პლასტიკის პარკების იმპორტი, წარმოება ან/და მათი რეალიზაცია. შესაბამისად, სკრინინგის ანგარიშში გათვალისწინებული უნდა იქნას აღნიშნული დადგენილების მოთხოვნები და ვალდებულებები;
- სკრინინგის განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს ელექტრონულად (PDF ფაილის ფორმატში).

  დამატებით გაცნობებთ, რომ „ნარჩენების მართვის კოდექსისა” და საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 „ნარჩენების შეგროვების, ტრანსპორტირების, წინასწარი დამუშავებისა და დროებით შენახვის რეგისტრაციის წესისა და პირობების შესახებ“ დადგენილების შესაბამისად ნარჩენების ტრანსპორტირება რეგისტრაციას დაქვემდებარებულ საქმიანობას წარმოადგენს, რომელიც ხორციელდება ნარჩენების მართვის ელექტრონულ სისტემაში (wms.mepa.gov.ge);

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო